

კომპიუტერზე დამოკიდებულებისა და სოციალური უნარების კავშირის
კვლევა უმცროს მოზარდებთან

მარიამ დავითაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სოციალური ფსიქოლოგია

მაია წერეთელი, ასოცირებული პროფესორი, PHD

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

აბსტრაქტი

კვლევის მიზანია საქართველოში უმცროსი მოზარდობის ასაკის პოპულაციაში კომპიუტერულ დამოკიდებულებასა და სოციალურ უნარებს შორის ურთიერთმიმართების დადგენა, ასევე თითოეული ამ კორელანტის კავშირის დადგენა მოზარდთა დემოგრაფიულ მონაცემებთან. კვლევა განხორციელდა გამოკითხვის მეთოდით, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 200-მა (ორასმა) რესპონდენტმა. გამოკითხა 10-14 წლის ასაკის მოსწავლეები. 100 ცდის პირი იყო 53-ე საჯარო სკოლის, ხოლო 100 - კერძო (მე-6 საავტორო და იუ-ჯი) სკოლის მოსწავლე. კვლევის ინსტრუმენტად შეირჩა 3 კითხვარი: დემოგრაფიული მონაცემების კითხვარი, რომელიც იკვლევს ცდის პირის სქესს, ასაკს, კლასს, სკოლას, სკოლაში შესვლის ასაკს, რამდენი წლიდან ურთიერთობს კომპიუტერთან, დადიოდა თუ არა ბაღში, და-მმას შორის რიგითობას, ოჯახის შემადგენლობას; კომპიუტერზე დამოკიდებულების საზომი კითხვარი (Pawlikowski M., Altstätter-Gleich C., Brand M., 2010) და სოციალური უნარების საზომი კითხვარი (Bandy, T. and Moore K., 2010), რომელიც ჩვენ მიერ იქნა ნათარგმნი და 74 მოზარდზე პილოტირებული. კომპიუტერულ დამოკიდებულებასა და სოციალურ უნარებს შორის სტატისტიკურად სანდო უარყოფითი კორელაცია დადგინდა. რაც უფრო მაღალია კომპიუტერზე დამოკიდებულება, მით დაბალია მოზარდის სოციალური უნარების მაჩვენებელი. ასევე სანდო უარყოფითი კორელაცია დადგინდა კომპიუტერზე დამოკიდებულებასა და სოციალური უნარების შემდეგ ქვეკატეგორიებს შორის: აკადემიურ თვით-ეფექტურობა, სიჯიუტე, ოსტატობაზე ორიენტაცია. კომპიუტერზე დამოკიდებულებასა და სოციალურ უნარებს შორის სტატისტიკურად სანდო უარყოფითი კორელაცია დადგინდა მე-5 და მე-6 კლასებში. გენდერის თვალსაზრისით შედარებისას, მამრობითი სქესის ცდისპირებში კომპიუტერზე დამოკიდებულებასა და სოციალურ უნარებს შორის სტატისტიკურად სანდო უარყოფითი კორელაცია დადგინდა. ასევე მდედრობითი სქესის ცდისპირებშიც, რაც უფრო მაღალია კომპიუტერზე დამოკიდებულება, მით დაბალია სოციალური უნარების მაჩვენებელი. ასაკის მიხედვით, დამოკიდებულების მაჩვენებლის

საშუალოების განსაზღვრისას, დადგინდა, რომ 12-13 წლის მოზარდებს უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ, ვიდრე 10, 11 ან 14 წლის ბავშვებსა და მოზარდებს. დაბადების რიგის თვალსაზრისით შედარებისას, უარყოფითი კორელაცია დადასტურდა ყველა შემთხვევაში, თუმცა, სტატისტიკურად სანდო მაჩვენებელი იყო პირველ და მესამე სიბლინგებში კომპიუტერზე დამოკიდებულებასა და სოციალურ უნარებს შორის.

კვლევის შედეგები მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს დაინტერესებულ პირებს (მშობლები, სკოლის ფსიქოლოგი, მასწავლებლები და სხვ.) რომლებიც დაინტერესებულნი არიან მოზარდების შრომითნაყოფიერებისა და თავდაჯერებულობის ხარისხის გაზრდით, რადგან ჩვენი კვლევა ადასტურებს მოცემული საკითხის გარშემო არსებული კვლევების შედეგებს, რომ კომპიუტერზე დამოკიდებულება, ისევე, როგორც ჩვენ მიერ შერჩეული დემოგრაფიული მონაცემები, შესაძლოა, ხშირად მოსწავლეების სოციალური უნარების განვითარებასთან იყოს კავშირში, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განაპირობებს მათ ფსიქოლოგიურ კეთილდღეობას.

ძირითადი თემატური სიტყვები: კომპიუტერული დამოკიდებულება, სოციალური უნარები, დემოგრაფიული მონაცემები, გენდერი